დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 5 ივნისი**

დისციპლინური საქმე №93/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 10 მაისის №93 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 11 მაისის №310/93-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ:

- დაარღვია საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის ვადა. ამასთან, დაგვიანებით გააგზავნა კერძო საჩივრები ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.
- არ დააკმაყოფილა აცილების შესახებ შუამდგომლობა.

1.2. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლემ მიიღო უკანონო განჩინებები და კანონის დარღვევით იმსჯელა შუამდგომლობებზე, კერძოდ:

- ორჯერ განიხილა მოპასუხის მიერ წარდგენილი ერთი და იგივე შუამდგომლობა და უარი უთხრა დაკმაყოფილებაზე.
- 2020 წლის 29 დეკემბერს და 2021 წლის 21 იანვარს მოსამართლემ მიიღო განჩინებები სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. თუმცა, მოსამართლემ 2021 წლის 21 იანვრის განჩინებაში მიუთითა გასაჩივრების წესი მიუხედავად იმისა, რომ მხარეს პირველი განჩინების გასაჩივრების მიზნით უკვე წარდგენილი ჰქონდა საჩივარი.
- 2021 წლის 21 იანვარს მოსამართლემ მიიღო ურთიერთსაწინააღმდეგო განჩინებები. კერძოდ, პირველ შემთხვევაში მან მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ხოლო მეორე განჩინებით მხარეს წარდგენილ საჩივარზე დაუდგინა ხარვეზი.
- მხარემ განცხადება უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ სასამართლოში წარადგინა 2021 წლის 29 დეკემბერს 16:51 საათზე, მოსამართლემ კი იმავე დღეს მიიღო განჩინება, რაც საჩივრის ავტორის მოსაზრებით ადასტურებს, რომ მან განჩინებას მიანიჭა უკანა თარიღი.
- სააპელაციო სასამართლომ -- -- სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ 2020 წლის 9 დეკემბრის განჩინების გასაჩივრების შემდგომ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მხარის

საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს. თუმცა, მოსამართლემ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება.

- მოსამართლე მანიპულირებდა სასამართლო სხდომის თარიღებით. კერძოდ, მან თვენახევრით ადრე (შვებულების პერიოდში) გადაიტანა დანიშნული სხდომა და 2021 წლის 29 ივლისს მხარეს აცნობა, რომ სხდომა 14 სექტემბრის ნაცვლად გაიმართებოდა 5 აგვისტოს. შემდგომ კი არ გაიზიარა მხარის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის სექტემბერში ჩანიშვნის შესახებ, რათა მათ ჰქონოდათ შვებულებით სარგებლობის უფლება და სასამართლო სხდომა დანიშნა 19 აგვისტოს. მოსამართლემ 7 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ სასამართლო სხდომა გაგრძელდებოდა, მომდევნო დღეს, რის გამოც მხარის წარმომადგენლებს მოუწიათ სხვა სასამართლო სხდომის გადადება.
- მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობები, რომლებიც ემსახურებოდა საქმის სათანადოდ მომზადებას. ასევე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა 19 აგვისტოს სასამართლოს სხდომის გადადების შესახებ, რადგან მხარეს კიდევ სურდა რამდენიმე შუამდგომლობის წარდგენა და საქმეზე 26 აგვისტოს დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2020 წლის 8 დეკემბერს -- -- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს. 9 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე. იმავე დღეს სასამართლომ გამოსცა სააღსრულებო ფურცელი.

2020 წლის 14 დეკემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - -- -- და -- -- მიმართ ხელშეკრულების დადების დავალდებულების, ზიანის და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებისა და საბანკო გარანტიების ვადაზე ადრე შეწყვეტის მოთხოვნით.

2020 წლის 22 დეკემბერს, 28 დეკემბერს და 29 დეკემბერს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. ხოლო, 20 იანვარს დაზუსტებული შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2020 წლის 14 დეკემბერს და 16 დეკემბერს -- -- სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე განჩინების გაუქმების მიზნით საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 22 დეკემბერს კი დაზუსტებული საჩივრით მიმართა სასამართლოს. 30 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ.

2021 წლის 19 თებერვალს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება -- -- საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლოს განჩინებით გაუქმდა -- -- სასამართლოს 2020 წლის 9 დეკემბრის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ და -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2020 წლის 23 დეკემბერს -- -- გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ განცხადება წარადგინა სასამართლოში. 29 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე.

2020 წლის 29 დეკემბერს და 18 იანვარს -- -- უზრუნველყოფის ერთი სახით მეორეთი შეცვლის მოთხოვნით განცხადება წარადგინა სასამართლოში. 29 დეკემბერს და 2021 წლის 21 იანვარს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

2021 წლის 18 იანვარს -- -- - სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის განჩინების გაუქმების მიზნით საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 21 იანვარს სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ. 27 იანვარს მხარემ გამოასწორა ხარვეზი და კვლავ მიმართა საჩივრით სასამართლოს. 28 იანვარს სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოში გაგზავნის თაობაზე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 29 თებერვლის განჩინებით -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა -- -- სასამართლოს 29 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და -- -- განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2021 წლის 20 იანვარს და 21 იანვარს სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა მოითხოვა. 21 იანვარს სასამართლომ მიიღო განჩინება მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე. ხოლო, 26 იანვარს სასამართლოს განჩინებით მხარეს უარი ეთქვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ წარდგენილ განცხადებაზე.

2021 წლის 3 თებერვალს -- -- საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა -- -- სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის განჩინების გაუქმება. 5 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და -- სასამართლოში გაგზავნის თაობაზე. 19 თებერვალს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება -- -- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2021 წლის 16 მარტს -- -- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნით განცხადება წარადგინა სასამართლოში. იმავე დღეს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. 22 მარტს -- -- სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გაუქმების მიზნით საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 26 მარტს სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოში გაგზავნის თაობაზე. 15 ივნისს -- სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება -- -- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2021 წლის 26 მარტს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადებაზე წარმოების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული განჩინება 14 აპრილს კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --. 15 ივნისს სასამართლომ მიიღო განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2021 წლის 16 აპრილს კერძო საჩივრის განხილვის მიზნით საქმე გაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2021 წლის 30 მარტს, 5 აგვისტოს, 19 აგვისტოს, 26 აგვისტოს, 7 სექტემბერს, 8 სექტემბერს და 15 სექტემბერს.

2021 წლის 19 აგვისტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით -- -- განცხადება წარადგინა სასამართლოში. 20 აგვისტოს -- -- მოითხოვა შუამდგომლობის განუხილველად დატოვება. იმავე დღეს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

2021 წლის 23 აგვისტოს შპს -- --- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს. იმავე დღეს სასამართლომ მიიღო განჩინება განცხადების დაკმაყოფილების შესახებ. აღნიშნული განჩინების გაუქმების მიზნით, -- -- 30 აგვისტოს საჩივარი წარადგინა სასამართლოში. 20 სექტემბერს -- -- სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოში გაგზავნის თაობაზე.

-- -- 2021 წლის 5 აგვისტოს, 19 აგვისტოს და 26 აგვისტოს გამართულ სხდომაზე სასამართლოს მიერ მიღებულ საოქმო განჩინებებში უსწორობის გასწორების და 5 და 26 აგვისტოს საოქმო განჩინებების

განმარტების მოთხოვნით განცხადება წარადგინა სასამართლოში. 2 სექტემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება საოქმო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ და საოქმო განჩინების განმარტებაზე უარის თქმის თაობაზე. აღნიშნული განჩინების გასაჩივრების მიზნით 20 სექტემბერს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 25 აგვისტოს, 30 აგვისტოს და 6 სექტემბერს -- -- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე სასამართლოს 2021 წლის 20 აგვისტოს განჩინებაზე, საპროცესო ვადის აღდგენაზე უარის თქმის თაობაზე 2021 წლის 26 აგვისტოს სასამართლოს საოქმო განჩინებასა და 5 აგვისტოს სასამართლოს საოქმო განჩინების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 30 სექტემბერს და 2022 წლის 31 იანვარს -- -- მის მიერ წარდგენილი კერძო საჩივრების სააპელაციო სასამართლოში დროულად გაგზავნის მოთხოვნით განცხადებები წარადგინა სასამართლოში. 1 თებერვალს საქმე კერძო საჩივრების განხილვის მიზნით გაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 10 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2021 წლის 2 სექტემბრის განჩინება საოქმო განჩინების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ.

-- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 10 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი -- -- სასამართლოს 2021 წლის 26 აგვისტოს საოქმო განჩინების დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

-- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 10 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2 სექტემბრის განჩინება.

-- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 10 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2021 წლის 20 აგვისტოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 10 მაისის განჩინებით -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ გაუქმდა -- -- სასამართლოს 23 აგვისტოს განჩინება და განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2.3. 2023 წლის 15 მაისს -- -- სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო

სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეს ანიჭებს უფლებას მოითხოვონ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რათა ხელი არ შეეშალოს ანდა შეუძლებელი არ გახდეს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება. კერძოდ, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება.

ამავე კოდექსის 196-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.

სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2020 წლის 29 დეკემბერს -- -- სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე განცხადება წარადგინა სასამართლოში, 29 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, 2021 წლის 18 იანვრის განცხადების საფუძველზე, 21 იანვარს სასამართლომ კვლავ მიიღო განჩინება უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. მართალია აღნიშნული განცხადებები იყო იდენტური შინაარსის, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მათ კანცელარიის მიერ მინიჭებული ჰქონდა განსხვავებული თარიღი და რეგისტრაციის ნომერი, მოსამართლემ მათზე ინდივიდუალურად იმსჯელა და მიიღო შესაბამისი განჩინებები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პირველი განჩინების გასაჩივრების მიზნით მხარეს უკვე წარდგენილი ჰქონდა საჩივარი, ეს არ ათავისუფლებდა მოსამართლეს ვალდებულებისგან 21 იანვარს მიღებულ განჩინებაში მიეთითებინა მისი გასაჩივრების წესი.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის ეჭვს თითქოს მოსამართლემ 2021 წლის 21 იანვარს ურთიერთსაწინააღმდეგო განჩინებები მიიღო. საგულისხმოა, რომ მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან ერთ შემთხვევაში მან იმსჯელა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის თაობაზე წარდგენილ განცხადებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში განიხილა მხარის მიერ შეტანილი საჩივარი.

ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ განჩინებას მიანიჭა უკანა თარიღი ვინაიდან, 2020 წლის 29 დეკემბერს განცხადება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში ატვირთა 16:51 საათზე, მოსამართლე კი ვერ შეძლებდა იმავე დღეს განეხილა და მიეღო შესაბამისი განჩინება. მნიშვნელოვანია, რომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად, მხარის მიერ მითითებული გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ გამოვლენილა.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 29 თებერვლის განჩინებით -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა -- -- სასამართლოს 9 დეკემბრის განჩინება და -- -- განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. რის შემდგომაც, 16 მარტს -- -- სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხს სასამართლო წყვეტს სარჩელის საფუძვლიანობის, საქმის გარემოებების ყოველმხრივი ანალიზისა და იმ შესაძლო რისკების გონივრულ ფარგლებში შეფასებით, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილებას ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შეიძლება მოჰყვეს. ამდენად, აქტის კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

აგრეთვე, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლე მანიპულირებდა სასამართლო სხდომის თარიღებით. კერძოდ, მან თვენახევრით ადრე (შვებულების პერიოდში) გადაიტანა დანიშნული სხდომა და არ გაიზიარა მხარის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის სექტემბერში ჩანიშვნის შესახებ, რათა მათ ჰქონოდათ შვებულებით სარგებლობის უფლება. ამასთან, მოსამართლემ 7 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ სასამართლო სხდომა გაგრძელდებოდა, მომდევნო დღეს, რის გამოც მხარის წარმომადგენლებს მოუწიათ სხვა სასამართლო სხდომის გადადება. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის აღნიშნული მოქმედებები მიმართული იყო საქმის დროულად განხილვის უზრუნველსაყოფად და არ ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობები, რომლებიც ემსახურებოდა საქმის სათანადოდ მომზადებას. ასევე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა 19 აგვისტოს სასამართლოს სხდომის გადადების შესახებ, რადგან მხარეს კიდევ სურდა რამდენიმე შუამდგომლობის წარდგენა და საქმეზე 26 აგვისტოს დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა. მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს წარდგენილი შუამდგომლობები. ამასთან, თუ არსებობს სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის წინაპირობები, მოსამართლე უფლებამოსილია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში. გასათვალისწინებელია, ისიც რომ სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნამდე, საქმეზე არაერთი მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა, რა დროსაც მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ წარედგინათ შესაბამისი შუამდგომლობები.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეწყდეს -- -- 2023 წლის 10 მაისის №93 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი).

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №93 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი